

**ევროპული კონვენცია საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების
სამართალსუბიექტურობის აღიარების შესახებ**

სტრასბურგი, 1986 წლის 24 აპრილი

პრეამბულა

ქვემოთ ხელისმომწერნი, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები ითვალისწინებენ, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრთა შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა, განსაკუთრებით კანონმდებლობის სფეროში საერთო წესების მიღებით;

აღიარებენ, რომ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები ასრულებენ ღირებულ სამუშაოს საერთაშორისო საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით მეცნიერების, კულტურის, მეძვიდრეობის, ფილანთროპიის, ჯანდაცვისა და განათლების სფეროებში და რომ მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ გაეროს ქარტიასა და ევროპის საბჭოს წესდებაში ჩადებული მიზნებისა და პრინციპების მისაღწევად.

სურთ რა შექმნან ორმხრივ ურთიერთობათა წესები, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ორგანიზაციების კანონიერი აღიარების პირობებს, რათა შეამსუბუქონ მათი მიღწევები ევროპულ დონეზე.

შეთანხმდნენ შემდეგ ზე:

მუხლი 1

წინამდებარე კონვენცია შეეხება ასოციაციებს, ინსტიტუტებს და სხვა ლეგალურ კერძო ინსტიტუტებს (შემდგომში „არასამთავრობო ორგანიზაცია“), რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:

- ა) საერთაშორისო სარგებლის მიმართ არ ამოდრავებთ გამორჩენის მიღების სურვილი;
- ბ) იქმნებიან მხარის შიდა კანონმდებლობის ინსტრუმენტის საფუძველზე;
- გ) თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ სულ ცოტა ორ სახელმწიფოში მაინც; და
- დ) გაააჩნიათ თავიანთი კანონიერი ოფისი რომელიმე მხარის ტერიტორიაზე და ცენტრალური მენეჯმენტი და კონტროლი იმავე მხარის ან სხვა ტერიტორიაზე.

მუხლი 2

1. კანონიერი ქმედუნარიანობა და უფლებამოსილება, რომელსაც იძენს არასამთავრობო ორგანიზაცია იმ მხარეს, სადაც მას კანონიერი ოფისი აქვს, ძალაშია სხვა მხარეებისთვისაც.

2. როდესაც მათი შექმნა განპირობებულია სახალხო ინტერესების, აკრძალვების, შეზღუდვების ან სპეციალური პროცედურების მიერ, რომლებიც განპირობებენ მისი კანონიერი ქმედუნარიანობის განხორციელებისათვის საჭირო უფლებამოსილებას, უზრუნველყოფილია იმ მხარის იურისდიქციის მიერ, სადაც მისი აღიარება ენება, ვრცელდება არასასამთავრობო ორგანიზაციის მეორე მხრეზეც.

მუხლი 3

1. კანონიერი ქმედუნარიანობის და უფლებამოსილების აღიარების მტკიცებულება არასასამთავრობო ორგანიზაციას მიენიჭება მისი მემორანდუმის წარდგენით და ასოციაციის მუხლებით ან სხვა ძირითადი კონსტიტუციური ინსტრუმენტით. ამგვარ ინსტრუმენტებს თან უნდა ახლდეს დოკუმენტები, რომლებიც აფუძნებენ ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობას, რეგისტრაციას ან განაცხადის რომელიმე სხვა სახეს იმ მხარეზე, რომელმაც მას კანონიერი ქმედითუნარიანობა და უფლებამოსილება მიანიჭა. მხარეს, რომელსაც, არ გაუკეთებია რაიმე სახის განაცხადის პროცედურა, არასასამთავრობო ორგანიზაციის დაფუძნების ინსტრუმენტს სათანადოდ ანიჭებს კომპეტენტური ორგანო, ხელმოწერისას, ან რატიფიკაციის საშუალებათა დეპონირების, მიღების, დამტკიცების ან ძალაში შესვლისას დაინტერესებული სახელმწიფო ატყობინებს ევროპის საბჭოს სამდივნოს ამ ორგანოს ინტენტიურობას.

2. პირველი მუხლის ა) პუნქტში მოცემული განაცხადის შესამსუბუქებლად, მხარეს შეუძლია უზრუნველყოს საჯაროობის არჩევითი სისტემა, რომელიც გაათავისუფლებს არასასამთავრობო ორგანიზაციას სარგებლის მიღებისაგან, რომელიც უზრუნველყოფილია წინა მუხლში ყველა თანრგმანისათვის, რომელსაც ისინი აკეთებენ.

მუხლი 4

წინამდებარე კონვენციის დებულება ყოველ ნაწილში შეიძლება გამოირიცხოს იმ შემთხვევაში, თუ არასასამთავრობო ორგანიზაცია აღიარებს ამ კონვენციას მისი თემის, მიზნების ან საქმიანობის მიხედვით, რომლითაც ის რელაურად გამოხატავს:

- ა) ეროვნული უშიშროების, სახალხო უსაფრთხოების დარღვევას ან ხელს უწყობს უწყესრიგობას ან დანაშაულს, ჯანმრთელობისა და მორალისადმი მხარდაჭერას, ან უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას და სხვა; ან
- ბ) საფრთხეს უქმნის ურთიერთობას სხვა სახელმწიფოსთან ან საერთოაშირისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას.

მუხლი 5

1. წინამდებარე კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის, რომლებიც შემდგომში მოახდენენ:

- ა) ხელმოწერას, რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების შესახებ დათქმის გარეშე, ან,
- ბ) ხელმოწერას, როგორც საგანს რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცებისა, რომელსაც მოჰყვება რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცება.

2. რატიფიკაციის შესახებ ინსტრუმენტები, მიღება ან დამტკიცება დეპონირებული უნდა იქნეს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 6

1. წინამდებარე კონვენცია ძალაში შევა ევროპის საბჭოს წევრი სამი სახელმწიფოს მიერ თანხმობის გამოხატვის დღიდან სამთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველ დღეს, იყვნენ კონვენციის ხელშეკრულნი მენუთე მუნლის დებულებათა თანახმად.

2. ნებისმიერ წევრ სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელიც შემდგომ გამოხატავს თავის თანხმობას იყოს მისი ხელშეკრული, წინამდებარე კონვენცია ძალაში შევა სამთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველ დღეს, მას შემდეგ, რაც დებონირებული იქნება რატიფიკაციის, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტები;

მუხლი 7

1. წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია მოიწვიოს ნებისმიერი ევროპის საბჭოს არაწევრი სახელმწიფო მიუერთდეს წინამდებარე კონვენციას, ევროპის საბჭოს წესდების მე-20 მუხლის დ) პუნქტში უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად და კონტრაქტორი სახელმწიფოების წარმომადგენელთა ერთსულოვანი კენჭისყრით, რომელთაც უფლება აქვთ იჯდნენ კომიტეტში.

2. ნებისმიერ მიერთებულ სახელმწიფოსთან მიმართებაში, კონვენცია ძალაში შევა თანხმობის გამოხატვის დღიდან სამთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველ დღეს მას შემდეგ, რაც ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან დებონირებული იქნება მიერთების ინსტრუმენტები.

მუხლი 8

1. ნებისმიერი სახელმწიფო ხელმოწერის დროს ან რატიფიკაციის, მიღების, მიერთების ან დამტკიცების ინსტრუმენტის დებონირების დროს განსაზღვრავს ტერიტორიას ან ტერიტორიებს რომლებზეც შეიძლება ვაგრცელდეს წინამდებარე კონვენცია.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ნებისმიერ შემდგომ დროს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანსადმი ვაკეთებული განცხადებით ვაგრცელდოს წინამდებარე კონვენცია, განცხადებაში მოყვანილ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე. ასეთ ტერიტორიებთან მიმართებაში, კონვენცია ძალაში შევა თანხმობის გამოხატვის დღიდან სამთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველ დღეს მას შემდეგ რაც ასეთი განცხადება მიღებული იქნება გენერალური მდივანის მიერ.

3. ნებისმიერი განცხადება, რომელიც ვაკეთებულია ორი წინა პუნქტის შესაბამისად, ნებისმიერ ტერიტორიასთან მიმართებაში, რომლებიც განსაზღვრულია ასეთ განცხადებაში გაუქმდება გენერალური მდივანსადმი ვაკეთებული შეტყობინების საფუძველზე. გაუქმება ძალაში შევა სამთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველ დღეს მას შემდეგ რაც ასეთი შეტყობინება მიღებული იქნება გენერალური მდივანის მიერ.

მუხლი 9

წინამდებარე კონვენციის ნებისმიერი დებულებების მიმართ არ კეთდება არანაირი დათქმა.

მუხლი 10

1. ნებისმიერ ხელშეკრულ მხარეს შეუძლია ევროპის საბჭოს გენერალური მდივანის სახელზე ვაკეთებული შეტყობინებით მოახდინოს წინამდებარე კონვენციის დენონსაცია.

2. ასეთი დენონსაცია ძალაში შევა სამთვიანი პერიოდის მომდევნო თვის პირველ დღეს მას შემდეგ, რაც ასეთი შეტყობინება მიღებული იქნება გენარალური მდივნის მიერ.

მუხლი 11

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და წინამდებარე კონვენციასთან მიერთებულ ნებისმიერ სახელმწიფოს შეატყობინებს:

- ა) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
- ბ) რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ნებისმიერი ინსტრუმენტის დებონირების თაობაზე;
- გ) მე-6, 7 და 8 მუხლების შესაბამისად, წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის თაობაზე;
- დ) ნებისმიერი სხვა შეტყობინების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ამ კონვენციასთან.

რის დასადასტურებლადაც, ქვემოთ ხელისმომწერნი, რომელთაც გააჩნდათ შესაბამისი უფლებამოსილება, ხელი მოაწერეს წინამდებარე კონვენციას.

შედგენილია სტრასბურგში, 1986 წლის 24 აპრილს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ორივე ტექსტს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა, თითოეული მათგანი შესრულებულია ერთ ეგზემპლარად და დებონირდება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დადასტურებულ ასლებს გადასცემს ევროპის საბჭოს წევრ ყოველ ქვეყანას და თითოეულ სახელმწიფოს.